

რაფიელ ერისთავის ვოდვეილების კრიტიკულ-მამხილებლური პათოსი

მაია კობიაშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო

E-mail: maia kobiaSvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.19>

ეპოქის მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, XIX საუკუნის საქართველოში, კერძოდ, 70-80-იან წლებში, სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა გვარდით გამორჩეული შემოქმედია რაფიელ ერისთავი. მისი ვოდვეილები მამხი-ლებლური პათოსით იქცევენ ყურადღებას. მან გადმოაქართულა და გადმოაკეთა სხვათა პიესები, ძირითადად, რუსულიდან ქართულად, თუმცა ის ავტორია აგრეთვე არაერთი ორიგინალი კომედია-ვოდვეილისა: „ქაჩუა“, „ბრილიანტი“, „მბრუნავი სტოლები“, „იჭვიანი“, „სადილი მარშლისას“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „ბიძიასთან გამოხუმრება“ და სხვა.

რაფიელ ერისთავის ვოდვეილების გმირები განასახიერებენ თბილისელ ვაჭრებს, თბილისური ეზოს მცხოვრებთ, თავადაზნაურობას, კეკელა ჩიხტიკოპიან ქალბა-ტონებს, ქალაქის იმ საზოგადოებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია წამხედუ-რობა, ზნეობრიობის თავისებური გაგება, სიმდიდრისაკენ სწრაფვა და ნაყროვანება.

ვოდვეილები ერთმოქმედებიანი კომიკური ხასიათის პიესებია. სწორედ, რომ რაფიელ ერისთავის ვოდვეილებში სატირული განწყობა აშკარაა. ირონია, თვითირონია, ცინიზმი, სარკამზმი მანკიერებათა მხილების ეფექტური იარაღია. დრამატურგიაში მანკიერებათა მხილების ეს გროტესკულ-ალეგორიული ფორმა დაამკვიდრა გიორგი ერისთავმა საუკუნის 50-იან წლებში („დავა“, „ძუნწი“, „გაყრა“) ამავე ფორმას მიმართა ილია ჭავჭავაძემ 60-70-იან წლებში, კერძოდ, „კაცია ადამიან-ში“, „გამოცანებში“, „კიდევ გამოცანებში“, „ბედნიერ ერში“... აკაკი წერეთელმა „ხარაბუზა ლენერალში“ და სხვა.

ერისთავის მიერ პიესების გადმოქართულება უწინარესად ემსახურება იდეებისა და სახეების ქართულ რეალობასთან ადაპტირებას, რაც აუცილებლად მოითხოვდა გადმოქართულებასთან ერთად გადმოკეთებას. სწორედ ამ მიზეზით, ძნელი გასარჩევი და აღმოსაჩენია ვოდვეილებსა და პიესებში მათი არაქართული, კერძოდ, რუსული ან ფრანგული გენეზისი.

ზოგადად, საინტერესოა, ვის ნაწარმოებებს თარგმნიდა რაფიელ ერისთავი. ამ კითხვაზე პასუხად უნდა მივიღოთ ის, რომ კონკრეტული ავტორი არ იძებნება. რამ განაპირობა ეს?

XIX საუკუნის რუსულ თეატრში ყველაზე აქტიურ ავტორად იხსენიება ალექსანდრე პისარევი. ვოდვეილი რუსულ თეატრში დაამკვიდრეს სოციალ-დემო-კრატებმა, როგორც მამხილებლური იარაღი. პიესები იყო ხშირად ანონიმური. ისინი იწერებოდა ერთჯერადი სასცენო მოხმარებისთვის, ქვეყნდებოდა ალმანა-ხებში, თეატრალურ ფურცლებზე, სხვადასხვა კრებულში და არ იყო მითითებული კონკრეტული ავტორი, რასაც ეპოქის პოლიტიკური ამინდი განაპირობებდა. ხშირად ვოდვეილის პირველწყარო ფრანგული იყო. ავტორი გაუჩინარებული იყო და მინაწერი ასეთი:

„перевод“, „переделка“, „шутка“, „водевиль и одиом действии“. სავარაუდებელია, რომ რაფიელ ერისთავი კი არ თარგმნიდა ლიტერატურულ კლასიკას, არამედ მოიპოვებდა მცირე კომიკურ სცენურ ტექსტებს, ამუშავებდა ქართულ ვერსიად და უბრალოდ, აღნიშნავდა, რომ „რუსულითგანაა“, ავტორის დაზუსტების გარეშე.

ერისთავის გადმოკეთებული ტექსტები შეიძლება მივაკუთვნოთ არა რომელიმე ავტორს, არამედ რუსული ვოდევილისტიკის სკოლას, ე.წ. „დაბალ კომედიათა“ ტრადიციებს. მაგალითისთვის მოვიყვან გენეზისისთვის „ბიძიასთან გამოხუმრებას“. ის რაფიელ ერისთავის მიერ გადმოქართულ-გადმოკეთებული პიესაა. დიდი ალბათობით, არ ეკუთვნის ვინმე ცნობილ ავტორს, არამედ ანონიმური თეატრალური მასალაა, რომელიც ტრიალებდა რუსული თეატრის სცენაზე და მან გამოიყენა.

რაფიელ ერისთავის რუსულწყაროიანი პიესების ზოგადი კლასიფიკაცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

პირდაპირი თარგმანი (იშვიათი) - მათში სიუჟეტი თითქმის უცვლელია, პერსონაჟთა ფუნქციები თითქმის შენარჩუნებულია, იუმორი ენობრივ მხარეს უკავშირდება და არა კულტურას. ასეთი სუფთა სახით რ.ერისთავთან თითქმის არ გვხვდება.

თავისუფალი თარგმანი/ქართულთან ადაპტირებული (უმთავრესად) - ასეთ პიესებში სიუჟეტური ჩონჩხი უცვლელია, პერსონაჟები ქართულ სოციალურ ტიპებადაა გარდაქმნილი, პერსონაჟთა დიალოგისთვის დამახასიათებელია ყოფითი, კილოიანი, ქართული იუმორი, ტექსტი აღიქმება არა „პლაგიატად“, არამედ დამოუკიდებლად. წამმღვარებული ავტორისეული რეპლიკა „რუსულითგანაა“ აღარაა მნიშვნელოვანი, რადგან ენა, მოქმედება, განწყობა მთლიანად ქართულია და რუსულ ან ფრანგულ მახასიათებლებს სრულიად გამიჯნულია.

გადაკეთება - ამგვარ ვოდევილებში (პიესებში) მწერალი ტოვებს მხოლოდ სიტუაციას ან კომიკურ კვანძს, ფაბულას აგებს ხელახლა, ცვლის პერსონაჟთა ურთიერთობებს, ხშირად უმატებს მორალურ ან სოციალურ ქვეტექსტებს. სწორედ ამ შემთხვევაში რაფიელ ერისთავი არის დამოუკიდებელი დრამატურგი და არა მთარგმნელი. გადმოკეთებული ტექსტები ქართველი მკითხველისთვის აღიქმებოდა როგორც ორიგინალური.

იმიტაცია/ჟანრული იგივეობა - ასეთ პიესებს არ აქვთ წყარო, ისინი ვოდევილის მოდელისაა, სიუჟეტები ტიპოლოგიურია (ბიძა, მემკვიდრეობა, მოტყუება, ქორწინება).

რაფიელ ერისთავს, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგიული გამოცდილება გაზიარებული აქვს როგორც უცხოური, ასევე გიორგი ერისთავისა, მას მაინც ვერ მივიჩნევთ კონკრეტული ჟანრის მეორეხარისხოვან ავტორად. ქართული თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად იყო ჩარ-თული და ამაზე მეტყველებს მისი პიესების სცენაზე გაცოცხლების ისტორია და ტრადიცია. მართალია, თარგმანების შესახებ ინფორმაციას გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ტექსტი მხოლოდ მასალაა, ხოლო ყოველი ნაწარმოების მიზანი ქართული სცენა, ქართველი მაყურებელი და ქართული კონტექსტებია.

„იჭვიანი“ ერთმოქმედებიანი ვოდევილია. მას სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს „გადაკეთებული რუსულითგან, შემდეგ ფრანციცულისგან, თ. რ.ერისთავის-მიერ“ [ერისთავი, რ. ცისკარი, 1870]. ე. ი. ნაწარმოების ორიგინალი ჯერ შექმნილა ფრანგულად, შემდეგ რუსულად და მხოლოდ ამის შემდეგ გაუქართულებია რაფიელ ერისთავს.

ვოდევილი „იჭვიანი“ 1870 წელს, აგვისტოში, დაიბეჭდა „ცისკარში“. პიესა მარტივსიუჟეტია, სამი მოქმედი პირით:

სვიმონ შერყეულაძე - 30 წლის (ქმარი)

ანასტასია - 20 წლის (ცოლი)

გულმართლისა - მათი მოახლე, 25 წლის.

მოქმედება ხდება საქართველოს ერთ ქალაქში, შერყეულიძის სახლში. ახლადდაქორწინებულ სვიმონს მოსვენება დაეკარგა. ულამაზესი ცოლის პატრონს ეჭვი

შეუჩნდა, მეტისმეტმა სიყვარულმა შიში და უნდობლობა გაუჩინა ორი თვის შერთული ცოლის მიმართ. მთელი პიესა ეძღვნება ამო ეჭვებსა და „სიმართლის“ დადგენას.

ამბავს კომიკურს ხდის პერსონაჟთა თვალთმაქცური ქცევები, მათი ჟესტები, მიმიკები და ქარაგმული დიალოგები. თითოეული მათგანი საკუთარ თავთან მეტს საუბრობს, ვიდრე ერთმანეთთან. შიში და ეჭვი ისეთ საბურველში ხვევს ცოლ-ქმრის ურთიერთობას, რომ არცერთს არ ეტყობა „თაფლობის თვის“ ქარიზმა და ეშხი. კაცი ეჭვს აუტაცია და ცოლის ყოველ ხილულ თუ უხილავ ქმედებაში, ფიქრებში, სიტყვებში ეძებს მიჩქმალულ, დაფარულ საიდუმლოს, რომელიც რეალურად არაა ის, რაც მოსვენებას უკარგავს სიმონს. ქალის დამფრთხალი და უხერხული გამომეტყველება უკავშირდება არა ქმრის ეჭვებში ჩასახლებულ „წარმოსახვით საყვარელს“, არამედ პაპიროსს, რომელსაც მალულად ეწევა, ეძალება ახალგაზრდა ქალბატონი.

ქართული სინამდვილისთვის შეუთავსებელ მანერად მიჩნეული ნიკოტინისკენ მიზიდულობა ქალს აიძულებს დამალოს ქმართან ეს ჩვევა, სწორედ ამ მალულ ქმედებებს შეჰყავს მეუღლე შეცდომაში. დასმული კითხვები და გაცემული პასუხები გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული. არც სვიმონი აზუსტებს კითხვებში საკუთარი შფოთვის მიზეზს და არც ტასოს პასუხები უქარწყლებს ეჭვებს ქმარს.

ცოლ-ქმრის საქციელები კუკუმალობას თამაშს წააგავს. გულახდილობას მოკლებული წყვილის ცხოვრება, მართლაც, კომიკურად გამოიყურება. სვიმონი გულს ვერ უდებს სამსახურს, თვალი და ფიქრი გაურბის სახლისკენ, სადაც, მისი რწმენით, ცოლი საყვარელთან ალერსს ეძლევა. ტასოს ქმარი სახლიდან წასული არ ჰგონია, რომ უკან ბრუნდება ფაქტზე წასწრების იმედით, ცოლს სიგარეტის მოწვევის ვნებამ მოსვენება დაუკარგა და ერთი სული აქვს გაისტუმროს მეუღლე სახლიდან, სვიმონის მიერ დაკითხული მსახური გულმართლისა სახელს ამართლებს და წრფელი პასუხებით, რომ „ვიღაც ოფიცერი“ დაიარება მათ სახლში (არადა, გულისხმობს საერთო საცხოვრებელს და მკერავ მეზობელს) და პაპიროსსაც ეწევა, ეჭვს სინამდვილედ წარმოადგენინებს გატანჯულ სვიმონს.

მწერალი ეჭვიანი კაცის გონებაში გვახედებს, გონებაში, რომელიც ეჭვებს მოუცავს: „კაცი რომ ცოლს შეირთავს, მაშინ გამოყრუვდება და მაშინ დაუდგება თვა-ლები!...ორი თვე არ არის, რაც ჯვარი დავიწერე და დღეში ორასჯერ შემევა ხოლმე იჭვი ჩემ ცოლში“ [რაფიელ ერისთავი: 402]. ეს გულწრფელობა, აღიარება თითქოს კომიკურია, არადა ცხოვრების რეალობაა, ადამიანს საკუთარი არასრულ-ფასოვნების განცდა ღირსებას აკარგინებს. ეშმაკი უბიძგებს ღვთით კურთხეული კავშირის დარღვევისკენ. „ხან მგონია, ფანჯრიდგან სხვას უყურებს-მეთქი; ხან, რომ ჩაფიქრდება, მგონია სხვაზე ფიქრობს-მეთქი...თუ წავა სადმე, მე მგონია თავის საყვარელთან წავიდა-მეთქი... გამოვჩერჩეტდი!.. გაბოროტებული ვემუქრები ხან ჩემს ცოლს, ხან ვიღაცა უცნობს ჩემს დამლუპავს და ვფიქრობ გავსრისო ის, როგორც ჭინჭველა!..“ [რაფიელ ერისთავი: 402]

პერსონაჟთა სახეები იძერწება მათსავე ქცევებში, ფიქრებში, მეტყველებაში. სიუჟეტი მწერალმა წარმოადგინა დიალოგებისა და მონოლოგების მონაცვლეობით.

მონოლოგია სვიმონისა: „რა ვუყო ჩემს ცოლს?.. ნეტა დღეს სად იყო ისე დილა ადრიანსა? სად და ვისთან წასულიყო?.. ის იყო, სწორეთ ის იყო!.. ვარდისფერი კაბა, ნაკერი თავსაკრავი, ლურჯი თავზედ მოსახვევი, ტანწვრილი, თეთრი სარტყელი... დიახ, დიახ, ის იყო! მეიღნის თავში თვალი მომკრა და ქარვასლისკენ შეუხვია... ნეტა ვისთან დარბის ასე დილა ადრიანა?...“ [რაფიელ ერისთავი:402]. ამავე მონოლოგში იძლევა ქალის პორტრეტულ დახასიათებას მწერალი და მისი მშვენიერი აღკაზმულობა მკითხველში არანაირ ეჭვს არ იწვევს, თუ არა იჭვიანის განცდა, „ნეტა ვისთან დარბის?“ აქვე თავად იძლევა რიტორიკულ კითხვას: „მაგრამ, რომ ვიჭვნეულობ, ჯერ რა საფუძველი მაქვს?“ [რაფიელ ერისთავი: 403].

კომიკურია „ნემსის“ ყიდვის საკითხი. ანასტასიას მონოლოგში, „საცოდავი ჩემი ქმარი!... რომ იცოდეს, მე რას ვუმაღავ იმას, შემჭამდა... მომკლავდა!.. რომ წარმოვიდგენ, ციება მომდის! ღმერთო, რა ძნელია ჩვეულება, უსარგებლო და სამრახისი ჩვეულება?..“ [რაფიელ ერისთავი: 406]

ასე დაუსრულებელი, გაურკვეველი შინაგანი დიალოგები საკუთარ თავთან მკითხველისთვის ერთგვარ ინტრიგას წარმოადგენს, რადგან არ ჩანს ანასტასია რა მიზნით იპარება სახლიდან ყოველდღე, რას გულისხმობს „სამრახის ჩვეულებაში“, რაც პიესას მატებს ექსპრესიულობას და მკითხველს/მაყურებელს ინარჩუნებს დასასრულამდე.

მონოლოგური თხრობის ეფექტი მატულობს სცენიდან მაყურებლისკენ მიმარ-თული რიტორიკული საუბრით: „ჰხედავთ ჩემს ქალბატონს, რა საქმეები ჩაუდენია?... ნემსებზედ რომ დატანტალეხს... ვიღაც პაპიროსიანი აფიცერი რომ დაძვრება აქა!.. გუშინ-დელი გომბიოც რომ მე მატყუებდეს, ღმერთი რატომ არ გაიცინებს! ორი თვე არ არის, რაც ჯვარი დავიწერეთ და აღარ მოიცადა?.. ნეტავი აგრე ლამაზი მაინც არ იყოს!.. ნეტავი აგრე გაგიჟებით მაინც არ მიყვარდეს!..“ [რაფიელ ერისთავი: 410]. საკუთარ ფიქრებს ათრევენებს ღირსებას, ნერვებს, დროს, „ნეტავი ვინ არის ჩემი დამღუპავი, ჩემი მყუდროების და სულის აღმაშფოთებელი, ჩემი გულის ქურდი, ჩემი ოჯახის გამცარცველი?“ [ერისთავი: 411].

რაოდენ კომიკურიც არ უნდა იყოს მკითხველისთვის თუ მაყურებლისთვის ეჭვიანი კაცის ქცევები და ფიქრები, ეს ფსიქოტიპი მაინც დრამატულ, ტრაგიზმამდე გართულებულ ხასიათს ქმნის. ეჭვიანობა ადამიანს უშლის მართლჭვრეტას, აბრმავებს, მართლაც ხდის მას გაქურდულს, გამარცვულს, დაღუპულს. არ შესწევს ძალა დატკბეს ღვთიური გრძნობით, არჩეული ქალის სურნელით, პირიქით, აშორებს მასთან და ტოვებს ეულად, ცალად, რაც მეუღლეობის, როგორც მთლიანობის, დამრღვევია.

პიესა დაყოფილია 12 თავად. სიუჟეტური კვანძი გაიხსნა მაშინ, როცა სვიმონმა ანასტასიას ფაქტზე შეუსწრო. დამფრთხალ ქალს, რომელსაც მტკიცებულებად სიგარეტის სუნი ასდის, ქმარი პასუხს სთხოვს, სად გადაძალა, სად მიეფარა თვალს ე.წ. „მწვეელი კაცი“.

მართალია მკითხველისთვის დიდი ხანია ნათელი გახდა საიდუმლო, მაგრამ ეჭვიანი მეუღლისთვის ნეტარების მომგვრელი შეიქნა, პაპიროსი რომ აღმოჩნდა ცოლთან დაშორიშორების მიზეზი და არა მოღალატე გული: „უწინამც დღე დაეღევა შენს ტასოს, რომ შენ იმან არ გიღალატოს!“ [ერისთავი: 421]. ტასო წამოაყენებს სირცხვილითა და სინანულით მის წინ მუხლზე დაცემულ მეუღლეს და სრული ბედნიერების საგარანტიოდ პაპიროსის გადაგდებასც ჰპირდება, რაც სვიმონისთვის უკვე სულ ერთი იყო. ოღონდ ცოლს არ ეღალატა და მოწვევაში პარტნიორობასაც სიამოვნებით გაუწევდა. ასეც მოიქცა.

რაფიელ ერისთავის ჩანაფიქრი საინტერესოა, ცხოვრებისეულია, მრავალ ცოლ-ქმარს პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებოდა. პიესა სულის კათარზისად გამოდგება. წყვილის ცხოვრება და თანაცხოვრება ღირებულია, მანკიერ მიზიდულობებს არ უნდა ემსხვერპლოს ოჯახის მომავალი.

ეჭვებგაფანტული კაცი მხრებგაშლილია, მტკიცეა და სიყვარულსაც სრულად შეიგრძნობს. მწარე კვამლიც კი სიამედ გარდაიქმნება, როგორც სვიმონს აღმოხდა - „ცხოვრებაა, ცხოვრება!“ [რაფიელ ერისთავი: 422].

ეჭვიანობა მანკიერებაა და არა „გადამეტებული“ სიყვარული. ის საკუთრების ინსტინქტია, შიშით გამძაფრებული ინსტინქტი, სულის ავადმყოფობა, პიროვნების გაორება ანდა სულაც, არასრულფასოვნების სინდრომი. ეჭვიან ადამიანს არ შეუძლია დაცვა საყვარელი ადამიანისა, პირიქით, ჩასაფრებულია, რათა ხელში ჩაიგდოს მისი თვალმაქცობის მომენტი და გაუსწორდეს ფიზიკურადაც და სულიერადაც. ის „დაგეშილია“ საკუთარების მპყრობელის მდგომარეობა შეინარჩუნოს, დაიცვას პირადი უფლება, რომელიც ტრადიციულად აქვს გადმოცემული თაობებისგან, ეშინია არა საყვარელი ადამიანის დაკარგვისა, არამედ საკუთარი ავტორიტეტის, სახელის შერცხვენისა.

რაფიელ ერისთავის მიზანი სწორედ ამ მანკიერების მხილებაა. მას სურს უთხრას ადრესატს, რომ ეჭვიანობა გონების სიბრმავეა, ამგვარ მანკს თავად იჩენს ადამიანი, აბსურდულ მიზეზს ხედავს იქ, სადაც არ არსებობს, მაშინ, როცა ამის საფუძველი არ აქვს. ფაქტი, რომელსაც ეძებს და ჩხრეკს, მხოლოდ მის წარმოსახვაშია და ამგვარად ეჭვის საბაზი მხოლოდ ბოდვია, ფსიქოლოგიური გადახრა, ამიტომაც ის სასაცილო ხდება სხვათა თვალში, უფრო გამაღიზიანებელი და მიუღებელი. ეჭვიანი ადამიანის დრამა შინაგანი

ლოგიკის არარსებობა, უსიყვარულობა, გამარცვული სულია, ღმერთთან დაშორება და უკიდურესი დაცემა. ეჭვიანობა სპობს და ანადგურებს უდიდეს ღვთაებრივ და ადამიანურ ფასეულობას - ოჯახს, ცოლქმრობას, ზოგჯერ მეგობრობასაც, ძმობასაც, კოლეგია-ლობასაც და საზოგადოება მიჰყავს სრულ დეგრადაციამდე.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეჭვიანობა ხშირად არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური აზროვნების პროდუქტია. ამიტომაც მწერლის მორალური აქცენტი არა კონკრეტული გმირისა თუ ანტიგმირის დასჯაა, რის გამოც მას არ ანადგურებს ტრაგედით, არც ოჯახის დანგრევით, არამედ საკუთარ თავში მანკიერების აღმოჩენითა და თვითგანკურნების გზით სწორ ფიქრსა და განცდებზე აყენებს.

მხილების ეფექტური საზომი სიცილია. ის აღმზრდელობით იარაღად აქვს ვოდევილების ავტორებს აღებული. თუ მოლიერთან სიცილი მწარეა, ერისთავთან სიცილი შემრიგებლურია. თუ საფრანგეთში სიცილი კონფლიქტის გამოხატვის ფორმაა, საქართველოში მას მეტად პოზიტიური და მიზნობრივი დატვირთვა აქვს.

„მასწავლებელი სოფლის სკოლისა“ 1887 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივანიაში“, პიესა ფრანგულიდან რუსულად უთარგმნია კარატიგინს, რაფიელ ერისთავს უნდა გადმოექართულებინა, მაგრამ კი არ გადმოთარგმნა, არამედ გადმოაკეთა.

ვოდევილი ერთმოქმედებიანია, ოცდაერთი გამოსვლით. კომედიაში ძირითადად ექვსი მოქმედი პირია, ცხრაც სკოლის მოსწავლე-შეგირდი.

მთავარი გმირია 60 წლის სოფლის სკოლის მასწავლებელი სოფრომ ჩერჩეტაძე, მისი 18 წლის ქალიშვილი - ნენე, პრისტავი 30 წლის მამაკაცი - ქაიხოსრო მართალაძე, 45 წლის სკოლის ზედამხედველი ევგენ ყრუაძე, 40 წლის წიწმატაძის ქვრივი ხორეშანი, 18 წლის თედო ვარდკაჭაჭაშვილი, მედუქნის „პრიკაზნიკი“ და სოფრომ ჩერჩეტაძის ნაშეგირდალი.

ვოდევლის ახლავს რემარკა: „ოთახი წარმოადგენს დიდს მოგრძო ოთახს, რომელშიაც სდგას შაგირდების სასახლოში გრძელი სკამები და სტოლები. ამათ წინ მაღლობზედ - სტოლი და სკამი მასწავლებლებისთვის; ოთახს ორივე მხრივ კარები აქვს“ [რაფიელ ერისთავი, 1958: 512]. საკლასო ოთახის ამგვარი მარტივი აღწერილობა დღევან-დელ მკითხველს ადვილად წარმოადგენინებს იმ სიმკაცრეს, უინტერესობას, რაც რაფიელ ერისთავის ეპოქის სკოლას ეჭირვებოდა. იმაზეც დააფიქრებს, ამ გაცრეცილ გარემოში რა ცოდნა, განათლება და განვითარება შესაძლებელი.

სასწავლო პროცესი ორ განყოფილებადაა გაყოფილი: უფროსები და უმცროსები. მოქმედება იწყება ნენეს და თედოს დიალოგით. ყვავილების გვირგვინებს ამზადებს ნენე უმცროსი შეგირდების დაჯილოვებისთვის.

აშკარა ხდება, რომ თედო ნენეზეა შეყვარებული, ეჭვიანობს 20 წლის ამირანზე, რომელსაც „პაპას უწოდებს“ თედო, რაკილა, როგორც ნენე გამოექომაგა, გვიან მიუბარებიათ სკოლაში. კამათი გამწვავდა, როცა ეჭვით არეულ თედოს სკოლიდან გაგდება შეახსენა ნენემ და ამით მან გამოხატა თავისი არჩევანი. თუმცა ვაჟი ბრალს სდებს ნენეს მამას, რომელმაც ქალიშვილის ტრფიალისთვის სკოლიდან გაგდებით მოიშორა: „თქვენი სიყვარულისთვის დავისაჯე, ზარმაცობისთვის ხომ არავის გავუგდივარ?!“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 515].

თედოს გამოსვლაში ბევრ მანკიერებას ეხდება ფარდა. მწერლის ოსტატობა იგრძნობა, როცა მახვილებს სვამს მთავარ სათქმელზე: პრისტავის შვილ სოლოს თედო უწერდა დავალებას, მასწავლებელს მოსწონდა და ხოტბასაც ასხამდა. მისთვის მოსწავლის ცოდნაზე მნიშვნელოვანი იყო მიკერძოება, თავმოწონება, რისი მიზეზიც, ჯამაგირის მომატება, მოგვიანებით ირკვევა.

ნენესთვის ძნელი დასაჯერებელი და მით უფრო, ძნელი შესაგუებელია მამის უსამართლობა და უღირსი საქციელი: „განა მამაჩემი ამისთანა კაცია?!.. რაეზსა სწამებთ!... გრცხვენოდესთ!..“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 517].

სიყვარულისთვის დასჯილი, სკოლიდან გაძევებული თედო სარკასტულად შენიშნავს, რომ მუხის ფოთლის გვირგვინები „უფროც შაჰშვენდებათ თქვენს შაგირდებსო“, რაკილა დაფნის რტოები ვერ იშოვეს და წიწმატაძის ქვრივმა ხორეშანმა კი არ გაიმეტა.

მოქმედ პირთა შორის ყველაზე დიდ ინტერესს აღძრავს ჩერჩეტაძე. გვარიც შესაფერი აქვს და საქციელიც. იმჟამინდელი პედაგოგების განზოგადებული სახეა. ის მენტორული ტონით ითხოვს „წესს, მოწიწებას“, „სტოლოზე“ ალაგებს წკეპლებს, არა ერთს, არამედ რამდენიმეს, სახაზავის მაგიდაზე დარტყმით მოითხოვს წესრიგსა და „ყურადღებას“. გაკვეთილის ამგვარ დასაწყისს მოსწავლეები ხვდებიან მთქნარებით და მასწავლებელიც უნებურად ამთქნარებს. სტანდარტულად კითხულობს შეგირდთა სიას, მოსწავლეები ცულლუტობენ და მასწავლებელიც ამკობს მათ უხამსი შემახილებით - „ჩოოშ“, როგორც ვირს, სახედარს მიმართავს პატრონი, „მუტრუკო“, „ბრიყო“, „უზრდელებო“, ერთმანეთის დასჯისკენ მოუწოდებს, თავად არ იძვრის კვარცლხბევიდან და თანაკლასელის ყურის აწევას ავალებს გვერდითმჯდომს... სიცილი, ხარხარი, დაბიზღება და, როგორც იქნა, გადადის მასწავლებელი სასწავლო ეპიზოდზე. ასწავლის ანბანს:

აბა წიპრო, გამოთქვი „გა“...

გა

„გა“

გა

„დო“

დო

აბა, შენ თავად ცალ-ცალკე გამოსთქვი!

გა-გა-გა-დო... [რაფიელ ერისთავი: 1958: 526].

მასწავლებელი ბრაზდება, კისერში სწვდება, „დაეგდე შენს ალაგას!“ - უბრძანებს მსხვერპლადქცეულ წიპრო კვიცაძეს და გადადის არითმეტიკის სწავლაზე. გამრავლებაში ავარჯიშებს და მალევე გადადის გეოგრაფიის, ბუნების, ასტრონომიის, ლიტერატურისა და გრამატიკის ნაწილებზე. შეგირდები სასაცილოდ იგდებენ მასწავლებელს და ისიც დაუშურებლად ამკობს: „ბრიყვებო, უგუნურებო, სულელებო, მხეცებო!...“ [ერისთავი: 1958: 527].

სოფრომ ჩერჩეტაძის ტიპი, ხასიათი, შინაგანი თუ გარეგანი თვისებები არანაკლებ იხატება მშობელთან, ხორეშან წიწმატაძესთან დიალოგში. სოფრომის მიმართ პირმოთნეობით ამბობს: „თავი დაუკარ ოსტატს!.. (შვილს), „მომყავს თქვენთან ჩემი უძლები და გზადაკარგული შვილი...“, რომელიც სხვის ხეზე ვაშლის მოსაპარად ამძვრალა, ამხელს დაურიდებლად მასწავლებელთან და ითხოვს მისგან შენდობა-პატიებას. შვილს კი სამართლიანი დედის სახე-იერით გამეტებით წყევლის: „ამოსავარდნელი!“, „დასამიწებლები“... მასწავლებლის რეაგირება კი იმხანად გაბატონებული შეურაცხყოფა და უსულგულო დასჯაა:

-დაიჩოქე, შე ავაზაკო, დაიჩოქე!.. თქვე უკეთურებო!.. თქვე არამზადებო! [რაფიელ ერისთავი: 1958: 528].

ხორეშანი ღირსებით ვერ დაიკვებნის. როგორც კი ყური მოჰკრა დაჯილოვების ამბავს, ვაშლის ქურდებს უთხრა: -ხვალამდის მაინც მოიცდიდით.

მასწავლებელთან „სამართლიანი დედის“ თავმომწონეობა და მორჩილი ტონი უმაღლესი შეიცვალა მასწავლებლის მიმართ, როცა ამ უკანასკნელმა მის შვილს „უბედურისშვილი“ უწოდა. გაწყრა და რიტორიკა შეცვალა: „მაშ ჩემს შვილს ჯილდოს არ მისცემთ?!.. მართალია, ცელქია და სასწავლებელში არ დაიარება, თორემ, სხვაფრივ ძალიან ბალღია!.. ცოტა რამ რომ უბოძოთ, გული გაუკეთდება!..“ რის პასუხადაც მასწავლებელმა აჩვენა „ბალთისთვის“ გამოწერილი წკეპლა.

განრისხებული ხორეშანი ნენეს „გომბიოდ“ მოიხსენიებს, წკეპლებს მისკენ გადაამისამართებს, დაავლებს შვილს, სოფრომს, ხელს და ლანძღვით ტოვებს სკოლას: „ღმერთმა დამიფაროს, მე თქვენ საღორეში აღარ შამოვიდე!“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 530].

მასწავლებელი შეგირდებზე ყურადღებას ავალეს ამირანს, მათში ყველაზე უფროსს, მას კი, როგორც მასწავლებლის რჩეულს, დასცინიან შეგირდები, მასხარად იგდებენ, დასორსლილ ქაღალდებს ესვრიან... ამირანი კი ნენეზე ფიქრს გაუტაცნია. შეგირდები ხმაურობენ, მღერიან, დახტიან სკამებსა და მერხებზე, რაზეც გაგიჟებულ მასწავლებელს აღმოხდება: „რა ამბავია?!.. ეს რასა ვხედავ?!.. ხოჯის აბანოა?!.. ასე სწავლობთ, თქვე მხეცებო?!.. თქვე დათვებო?!..“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 531], აჩოქებს მოსწავლეებს და იკვლევს, ვინაა მთავარი მემბოხე. სწორედ ამ დროს შემოუსწრებს სკოლის ზედამხედველი ქაიხოსრო მართალაძე, რომელიც, ძნელი ამოსახსნელია, ირონიულად თუ სიბრყვიით სულ სხვა ინტერპრეტაციას აძლევს დაჩოქებას: „ეს რა არის?!.. მუხლმოდრეკით ლოცულობენ?!..“ რაზეც ჩერჩეტაძე მოსწრებულად პასუხობს: „დიახ, დიახ!.. დაუჩოქებელი ლოცვა ისე მხურვალე არ იქნება...“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 532].

სტანდარტული და მარადიული შეგონება: „ისწავლეთ, ისწავლეთ!.. მთავრობა ცდილობს თქვენს განათლებას, თქვენც ეცადებით, თორემ შკოლას მოგისპობენ...“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 533]; სასაცილოზე უფრო სატირალია მასწავლებლის ყალბი აღიარება: „მე დიდი მადლიერი ვარ ამათს მეცადინეობაზე, ამათს ყოფაქცევაზე!.. ისე სხედან ხოლმე შკოლაში, როგორც მტრედები!.. ბუზის გაფრენას გაიგონებს კაცი“ [იქვე].

თემა მარად აქტუალურია, იმდროის მანკიერი საგანმანათლებლო სისტემა ბევრად შეცვლილია, რუსული „წეკულა“ განდევნილია სკოლიდან, მაგრამ გარეშე თვალის წინაშე ხელის დაფარება, სურათის „დავარცხნილად“ წარმოჩენა და ამ ფარდის უკან მოსწავლეთა კიცხვა ისევ უკურნებელ სენად არის შერჩენილი, ცხადია, თუ სოფრომ ჩერჩეტაძე ეპოქის სახეა, დღეს ასეთი ვითარება არ გვაქვს, მაგრამ პრობლემები მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთობაში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია, რაც ტრაგი-კომედიად აქცევს თემას და არა გასართობ, კომიკურ ამბად.

იდიალური გაკვეთილის, ასეთივე მოსწავლეების „შესანიშნავი“ მასწავლებელი სარგებლობს მომენტიტით და ზედამხედველს შეახსენებს ჯამაგირის მომატების საკითხს, რაზეც „პრისტავი“ პასუხობს, რომ „ეჭვი არ უნდა შეეპაროს“.

სიყალბე, თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, ფარისევლობა, უსამართლობა, სიხარბე და გაუმაძღრობა - ეს ის თვისებებია, რომლებითაც „შემკულია“ ამ კონკრეტული ვოდვეილის მასწავლებელი. არც მალავს მანკიერი ქცევის მიზეზსა და მიზანს: „პატივსაცემი კაცია, მაგრამ მეტად იბღინძება... ამას გარდა ჰგონია, რომ იმისი შვილი საოცრება რამ გამოვა!.. მაგრამ... მაგრამ ეს არის, რომ მაგისი შემწეობა მჭირია: დამპირდა დახმარებას ჯამაგირის მომატებაზე“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 534].

ესეც მარადიულ პრობლემად გამოიყურება. ყოველ დროში არსებობენ მასწავლებლები, რომელთა სკოლაში მუშაობის მთავარი მოტივატორი არის ანაზღაურება. არც იმ დროს და არც ახლა არაა რეალური მომჩივანი, ყბედი კი არც მაშინ აკლდა და არც თანამედროვე ცხოვრებას. თუ რაფიელ ერისთავის ეპოქაში საზოგადოება საკუთარ რეალობას სიცილით შეხვდებოდა, როგორც ფსიქოლოგიურ გამოწვევას, დღეს სხვა ინტერპრეტაცია აქვს მკითხველ საზოგადოებას. ფაქტია, რომ მასწავლებლის კარიკატურულმა სახემ წირი იცვალა, ბევრმა შეიცნო საკუთარი თავი სოფრომ ჩერჩეტაძეში და ასე თუ ისე ფერუმარული იცხო. თუ დღესაც იდგმება ვოდვეილები სცენაზე, ჩანს, ისევ საჭიროა, ისევ კრიტიკის იარაღია.

კომიკურია მოსწავლეთა დაჯილდოვების სურათი. რა ეპითეტებით ამკობს მასწავლებელი მათ, ვისაც დაფნის არა, მაგრამ მუხის ფოთლების გვირგვინი მაინც ხვდათ წილად: სოლო მართალაძეს - მეცადინეობისთვის, „რომელიც იმაში არ მოიპოვება“, ის ხომ „პრისტავის“ შვილია! უგუნურაძეს - გონიერებისათვის! ზინზლიანს - სისუფთავისთვის! ბლუაძეს - ენაბრგვილობისთვის! უძლურაძეს - სიმართლისთვის!

მაწსავლებლის შეფასებით, ესენი არიან სკოლის რჩეულები, სხვები კი სულ „არამზადები“. ნენეს გულისწყვეტას ამირან ძალუმბიდის დაჯილდოვებაზე მოჰყვა მამის

ირონია: „გმირული და ღონისთვის!.. იმდღეს გაქცეული ჯორი კუდით შეიმაგრა!“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 534].

პიესაში მოხდენილად იკავებს თავის ადგილს სიყვარულის თემა. ამირანი ნენეს სიყვარულით ითმენს შეურაცხყოფას მამამისისგან. „დამაჩოქეს... დამამცირეს...19 წლის აყლაყუდა“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 534], როცა მის დაჯილდოვებაზე მიდგება საქმე, თავად აირჩევს, ეს ჯილდო ნენეა.

ამ წყვილის საუბრიდან ისევ იჩენს თავს არჩევანისას მშობლის სიტყვა რომ იყო გადამწყვეტი. როგორც ნენე განმარტავს, „ მამა იმისთანა კაცს არ მიმცემს, რომელსაც სწავლა არ შაუსრულებია“, კიდევ არის ერთი პრობლემა - სიღარიბე. როგორც ამირანი ამბობს: „ჯიბე - მჩვარი, თავში - ქარი!“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 535].

ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოსწონს. თავიანთთვის გარიგებაც დადეს: „მაშ, მე თქვენი ქმარი ვიქნები და თქვენ ჩემი ცოლი?“ განსაკუთრებით კომიკურია ჩახუტების მომენტი. ამირანმა ხელები გაშალა, თვალები დახუჭა და ჩასახუტებლად შემოხვია ვითომ ნენეს, გოგო ცუდლუტად დაუსხლტა ხელიდან, ვაჟი კი უნებურად შემოეხვია კლასში შემოსულ სოფრომს და დაუწყო კოცნა, რასაც მასწავლებლის სასტიკი რეაქცია მოჰყვა: „როგორ გაბედე შე ვირო?! შე ავაზაკო, ჰა?! ვის გაუბედე?!“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 535].

განსაკუთრებით კომიკურია სკოლების ზედამხედველის, ეგგენი ყრუადის, სტუმრობა სკოლაში, რომელსაც განუზრახავს უფროსი შეგირდების გამოცდა. ეს ამბავი სკოლის პრისტავმა მოსწრებულად დაუკავშირა ჯამაგირის მომატების თემას. შეფუცხუნებული და აფორიაქებული ჩერჩეტაძე ნანობს უფროსი შეგირდის - ამირანის მიმართ გამოჩენილ დამცირებასა და შეურაცხყოფას. უმაღლესი ტალღა და ქალიშვილი აფრინა მის მოსაძებნად, როგორც შედარებით გონიერი, ის გამოიყვანდა უხერხულობის ჩიხიდან.

სოფრომი ადეკვატურია მხოლოდ საკუთარ ფიქრებში: (ქაიხოსროს) „უგუნურმა შვილმა ორი წელიწადი „ანზანი“ ღეჭა! ის მხეცი ამირან ხომ ისევ ვირათ დარჩა!.. აბა ახლა მომიმატებენ აი, ჯამაგირს!.. ნეტავი კი კისრის კვრით მაინც არ გამაგდონ!...“ [რაფიელ ერისთავი: 1958: 536]. გაკვეთილზე მოსწავლეებთან და სკოლის ზედამხედველებთან პირწავარდნილი თვალთმაქცი, თავკერძა, მლიქვნელი და ფარისეველია.

წინასწარ დაამუშავეს ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილები სოფრომმა, ნენემ, სოლომ (ზედამხედველის შვილმა), ამირანმა და თედომ. შეიმუშავეს კითხვები, მოამზადეს პასუხები წერილობით, გაუნაწილეს სოლოს და ამირანს, თედომ ისარგებლა მათი სიმტკიცით და გაუცვალა ისტორიისა და გეოგრაფიის პასუხები ისე, რომ არცერთმა არ იცის. მოზრძანდა ყრუაძე, გადასცეს კითხვების ნუსხა, შეგირდებს უწყობს დაკითხვას. მათ მცდარ და უგუნურ პასუხებზე ოფლში იწურება ჩერჩეტაძე, ზურგსუკან დგება და კარნახობს, ამირანი მხოლოდ მიმსგავსებით იმეორებს, ასე, მაგალითად:

სოფრომი - „არაბები მოვიდნენ სომხეთში“ (ჩურჩულით);

ამირანი - „არაფერი მოვიდა სომხეთში“ (ომახიანად) ;

სოფრომი - „ჩოშ!..“

ამირანი - „ჩოშ!“

სოფრომი - „მერვე საუკუნეში საქართველოს შემოესია მურვან-ყრუ“;

ამირანი - „მერვე საუკუნეში საქართველოს შემოესია მურიანი ყრუ“...

სოფრომი- თემურმა ააოხრა საქართველო“;

ამირან - „თამარმა ააოხრა საქართველო“... [რაფიელ ერისთავი: 1958: 537-538].

ყრუაძე ქებას და ხოტბას არ იშურებს, მართლაც დაყრუებულს ერთი სიტყვაც არ გაუგონია. მან თავისი ფორმალური მოვალეობა შეასრულა, პროფესიული ვალი მოიხადა: „ყმაწვილებო! მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ თქვენში ამისთანა წარმატება დავინახე. ეცადეთ, რომ შემდეგშიაც აგრე დაწინაურდეთ!“

ბოლოს მიუბრუნდა „ღვაწლმოსილ“ სოფრომს და მიულოცა „წარმატებული დღე“, ბედნიერების მეცხრე ცაზე მყოფი სოფრომი კი ჩვეული ოსტატობით მლიქვნელობს:

„გმადლობთ ყურადღებისთვის, მით უმეტეს, რომ თქვენისთანა განათლებული დამფასებელი იშვიათია“ [ერისთავი: 1958, გვ.540].

შეგირდებმა ომახიანი დალოცვით გააცილეს ყრუ ზედამხედველი, ორივე მხარე დარჩა კმაყოფილი და ბედნიერი.

ვოდევილი აშკარად მამხილებლურია. ასეთი ფოტოგრაფიული სიზუსტით წარმოდგენა ერთგვარი სარკეა საზოგადოების სიმდაბლის გამოსააშკარავებლად. ასეთი დაცემული და უკონტროლო განათლების სისტემა ქვეყანას ვერ გაიყვანდა სამზეოზე. „რაც ბერი, ის ერიო“ - ნათქვამია, ამგვარი მასწავლებლის შეგირდები რა მომავალს შექმნიან? „რაც კოკაში დგას, იგივე თურმე წარმოსდინდება“.

აქტუალურობას დღესაც არ კარგავს ვოდევილში წამოწეული პრობლემა. განათლების სისტემას დღესაც უხვად ჰყავს კრიტიკოს-გამკიცხველები. მართალია, XIX საუკუნის მასწავლებლის სახე მეტისმეტად ჰიპერბოლიზებულია დღევან-დელი მასწავლებლის ფონზე, მაგრამ მანკიერების მოურიდელები მამხილებელია საზოგადოება როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე ოფიციალურ მედიასაშუა-ლებებში. დღესაც ამოიცივება მასწავლებლებშიც და მოსწავლეებშიც არაობიექტური შეფასებები, სწავლა-სწავლების პრინციპში მოჭარბებული ბიუროკრატიზმი, მიკერძოება და მართულობა, თვითგადარჩენის ინსტინქტები და სხვა მრავალი რამ, რაც ქვეყანას წინსვლის ნაცვლად უკან აბრუნებს.

მწერალს გვარები მთავარ მინიშნებად შემოაქვს. ფაქტობრივად, ესაა პირადი პოზიციის დაუფარავი გამოხატვა: ყრუაძე, ჩერჩეტაძე, მართალაძე, წიწმატაძე, ძალუმაძე, უძლურაძე, ზინზლიანი, ბლუაძე, კვიციანი, ფაფიაშვილი, ვარდკაჭაჭაშვილი, წაპნიაშვილი. მოქმედების, შესტების, მანერებისა და დამოკიდებულებების უნახავად ექმნება წარმოდგენა მკითხველსა და მაყურებელს საზოგადოებაზე, რომელიც XIX საუკუნის სოციუმს წარმოადგენდა, რომელსაც ებარა სამშობლოს ბედი და მომავალი. დღეს სტიგმებთან ბრძოლა გვაქვს გაჩაღებული. სტიგმებთან, რომლებსაც შერჩენილი აქვს თავდაპირველი ფუნქცია - მანკიერებათა მამხილებლობა, ეს მსუბუქი და კულტურული კვალიფიკაცია-შეფასებაა, სინამდვილეში არის ადამიანის დაცინვა, სარკაზმი, ირონია და ცინიზმი, რაც ცხოვრებას ხდის სატირულს.

მწერალმა, თავისთავად, თარგმანთან ერთად გადმოაკეთა და შექმნა ქართული სინამდვილე, რომელიც რაოდენ კომიკურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, მაინც წარმოადგენს ეროვნულ ტრაგედიას.

საკვანძო სიტყვები: რაფიელ ერისთავი, ვოდევილები, კრიტიკულ-მამხილებლური პათოსი

ლიტერატურა:

1. ასათიანი გ. (1982), თანამდევნი სულები, III. თბ. გაზეთ „განახლებული ივერიის“ რედაქცია.
2. ერისთავი რ. (1958), რჩეული თხზულებანი, ერთტომეული, თბ., „საბჭოთა მწერალი“.
3. ერისთავის რ. (1880). „ადვოკატები“ - ცისკარი. N08
4. ვაშაყვამე შ. (1962), რაფიელ ერისთავი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, თბ. „საბჭოთა საქართველო“.
5. ჭავჭავაძე ი. (1950), თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, II, თბ., „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“.

The Critical-Exposicative Pathos of Rafiel Eristavi's Vaudevilles

Abstract

In terms of the fight against the vices of the era, Rafiel Eristavi stands out among other famous public figures in 19th-century Georgia, specifically in the 1970s and 1980s. His vaudevilles attract attention with their revealing pathos. He translated and adapted the plays of others, mainly from Russian into Georgian, although he is also the author of a number of original comedy-vaudevilles.

Rafiel Eristavi's translation of the plays into Georgian primarily serves to adapt ideas and characters to Georgian reality, which inevitably required editing along with the translation. For this very reason, it is difficult to distinguish and discover the non-Georgian, namely Russian or French, genesis of vaudevilles and plays.

Eristavi's adapted texts can be attributed not to any one author, but to the Russian school of vaudevillian comedy, the traditions of the so-called "low comedy." He was actively involved in the process of creating and shaping Georgian theater, and this is evidenced by the history and tradition of bringing his plays to life on stage.

The goal of every dramatic work is the Georgian stage, the Georgian audience, and the Georgian contexts. In this paper, we will discuss two vaudevilles: "The Envious" and "The Teacher of the Village School." Both are one-act vaudevilles.

An effective measure of revelation is laughter. It has been adopted as an educational tool by the authors of vaudeville. Vaudeville brings the "jealous" person to the right thinking and feelings by discovering vices in himself and through self-healing. Jealousy is a vice, not "excessive" love. It is a possessive instinct, an instinct intensified by fear, a mental illness, a dual personality, or, at best, an inferiority syndrome.

"The Teacher of the Village School" is still relevant today. The vaudeville raises a problem that still casts a shadow on the education system today. It is true that the face of the 19th century teacher is too It is hyperbolized in the context of today's teachers, but society is a relentless exposor of vices, both on social networks and in official media outlets. Even today, biased assessments are identified among both teachers and students, excessive bureaucracy, bias, and bias in the teaching-learning process. Self-preservation instincts and many other things that are taking the country back instead of forward.

Human ridicule, sarcasm, irony and cynicism make life satirical, which undoubtedly represents a national tragedy.

Keywords: Rafiel Eristavi, vaudevilles, critical-exposicative pathos